1988

ISSN 0203—2023

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРОЛЕТАРЕЙ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 6

1988

უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (575) ივნისი 1988 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

145. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. ფანჩვიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ.

146. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის ბოლნისის რაიონის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადგომ საბჭოს მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

147. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ.

148. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

149. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე.

150. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შექმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

151. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

152. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის ინფორმაციის გამო.

153. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ლ. გ. ნიკარაძის, ა. ი. ინასარიძისა და ნ. მ. მგალობლიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო.

154. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

განკოფილება მეორე

156. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ტომსკის ოლქის შემოქმედებითი კოლექტივების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

157. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

158. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. ვ. დგებუაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

159. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. ნ. დუმავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

160. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

161. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ([illegible]ილდოების შესახებ.
163. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ლ. გაჩეჩილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
164. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. კ. ლოლუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
165. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
166. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ქაძანიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

145 ამხ. გ. ს. ფანჩვიძის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დანიშნოს ამხ. გივი სერგოს ძე ფანჩვიძე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრად.

18920

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 ივნისი.
№ 1750—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

146 სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის ბოლნისის რაიონის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ბოლნისის რაიონის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ო. ციმაკურიძის ინფორმაცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ახორციელებენ რა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, „დაბის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის 13 სექტემბრის დადგენილების მოთხოვნებს, სადაბო საბჭომ, მისმა აღმასკომმა, დეპუტატთა და საზოგადოებრივმა ფორმირებებმა გარკვეული მუშაობა გაწიეს საქვეუწყებო ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის, მშრომელთა მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ამასთან კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია თავისი მუშაობის გარდაქმნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, განსაკუთრებით სამეურნეო

საქ. სსრ ეროვნული ბიბლიოთეკა
სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში, ყოველთვის ვერ ჩენს მკაცრ მომთხოვნელობას სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად გამიზნულ სადირექტიო ორგანოების დადგენილებათა შესრულებისათვის.

ნელი ტემპით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრები, როგორც წესი, აუთვისებელია. მაგალითად, იმ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, რომლებსაც ძირითადად ახორციელებს № 7 ტრესტ „საკშატმშენის“ (მმართველი გ. გუჯეჯიანი) მოძრავ-მექანიზებული კოლონა-300, 1987 წელს გეგმით გათვალისწინებული 3,2 მილიონი მანეთის ნაცვლად შესრულებულია 2 მილიონი მანეთით. განსაკუთრებით ჩამორჩება სოციალური დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის სამუშაოები. მეტისმეტად გაჭიანურდა ჯერ კიდევ 1980 წელს დაწყებული 100-ადგილიანი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმის მშენებლობა — 1988 წლის 1 იანვრისათვის ათვისებულ იქნა კაპიტალურ დაბანდებათა მხოლოდ 26 პროცენტი.

ჩაშლილია დაბის შიდაგზების, სავაჭრო ცენტრის, № 25 პროფტექნიკური სასწავლებლის სახელოსნოების და სხვ. საექსპლუატაციოდ გადაცემის, კეთილმოწყობის გეგმის შესრულება.

არ არის შემუშავებული 2000 წლისათვის თითოეული ოჯახის ცალკე ბინით უზრუნველყოფის ზუსტი პროგრამა, მაშინ, როცა დაბის 500-მდე ოჯახს ესაჭიროება საბინაო პირობების გაუმჯობესება.

მოუწესრიგებელია დამხმარე სოფლის მეურნეობის განვითარებაში საბჭოსა და მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საჭირო თანამოქმედება, არ გამოიყენება იმ დამხმარე მეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც იქცნენ პროდუქტებით მშრომელთა დამატებითი მომარაგების, საწარმოში საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების წყაროდ.

სადაბო საბჭოს აღმასკომი ჯერთვან ზეგავლენას ვერ ახდენს საწარმოების მიერ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებაზე, მისი ასორტიმენტის გაფართოებასა და ხარისხის ამაღლებაზე. ხარისხოვანი ჯურჯლის სამქრომ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა 1987 წელს მხოლოდ 85,1 პროცენტით შეასრულა.

საბჭოს აღმასკომი ვერ ახორციელებს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა და რაიონის საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაობის სათანადო კოორდინაციას მოსახლეობისათვის ფასიანი მომსახურების გაწევის საქმეში.

არასაკმარისი ყურადღება ეთმობა გარემოს დაცვის საკითხებს.

დაბის მოსახლეობა საკმაოდ არ მარაგდება კვების პროდუქტებით, კერძოდ ბოსტნეულითა და ხილით; 1074-ადგილიან № 2 საშუალო სკოლაში 1462 მოსწავლეა. სოფ. ბალიეის სასურსათო მაღაზიაში უხვად ირღვევა სანიტარიული წესები; რვაწლიან სკოლას ესაჭიროება კაპიტალური რემონტი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება; კლუბი და ბიბლიოთეკა თითქმის უმოქმედოდაა. სოფელი არ არის რადიოფიცირებული, არ აქვს საბავშვო ბაღა-ბალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმატა სოციალისტური კანონიერების უხეში დარღვევის, ლოთობისა და ხულიგნობის შემთხვევებმა.

სადაბო საბჭოს აღმასკომი პრაქტიკულ მუშაობაში არასაკმარისად იყენებს დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების შესაძლებლობებს, საქმიანობაში სუსტად ანვითარებს დემოკრატიულ საწყისებსა და საჯაროობას.

საბჭოს სამუშაო გეგმები ხშირად შედგენილია დაბაში არსებული ვითარების მნიშვნელოვანი საკითხები იშვიათად გამოაქვთ მოქალაქეთა განსახილველ-საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შეუსწავლელად. სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები იშვიათად გამოაქვთ მოქალაქეთა განსახილველად, ხოლო საბჭოს, მისი აღმასკომის, მუდმივი კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ყოველთვის ოპერატიულად არ ატყობინებენ უშუალო შემსრულებლებს, იშვიათად აცნობენ მოსახლეობას.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი იმითაა გამოწვეული, რომ ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომი კაზრეთის სადაბო საბჭოს არ უწევს სისტემატურ, კვალიფიციურ დახმარებას მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაში, ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ჩაითვალოს კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭოს მთავარ ამოცანად ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერება დაბის კომპლექსური სოციალური და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის, შრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის სკკპ XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, რისთვისაც:

გაშალოს შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობას შორის ფართო ორგანიზატორული მუშაობა 1988 წლის და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განსავითარებლად, ყოველნაირად მიიღწიოს დისციპლინის განმტკიცებას შრომითს კოლექტივებში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ცხოვრებით გამართლებული ახალი ფორმებისა და მეთოდების წარმოებაში დანერგვის დავალებათა რეალიზაციის გზით;

უზრუნველყოს ბუნების დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი შესრულება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს საბჭოს საქმიანობაში, სესიების, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციაში, მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა რეალიზაციაში დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მონაწილეობის გაფართოებას; უფრო აქტიურად ჩაებას ისინი მოსახლეობის მომსახურების კულტურისა და ხარისხის ამაღლების ღონისძიებებში, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, კინოთეატრების და სხვ. მშენებლობისა და მუშაობისადმი კონტროლში;

ეკონომიკური და სოციალური განვითარების, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მშრომელთა მატერიალური და მორალური წახალისების ამაღლების კონკრეტული საკითხების განხილისას გაითვალისწინოს შრომითი კოლექტივების საბჭოების აზრი, უზრუნველყოს მათი აქტიური მონაწილეობა საბჭოსა და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

2. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ მე-13 ხუთწლიანი გეგმის ფორმირებისას გაითვალისწინოს დაბა კაზრეთში 460-ადგილიანი საშუალო სკოლისა და სოფ. ბალიშში 90-ადგილიანი ბაგა-ბაღის მშენებლობა.

3. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიიღოს გადამჭრელი ზომები დაბა კაზრეთში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ტემპის გასაძლიერებლად.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყოს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მუშათა, განსაკუთრებით კვების პროდუქტებით, მომარაგების მკეთრი გაუმჯობესება.

5. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დირექცია მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს დამხმარე მეურნეობის ორგანიზაციას იმ ანგარიშით, რომ ადგილზე წარმოებული პროდუქტებით დაიფაროს გარღვევა სახელმწიფო უზრუნველყოფასა და ისეთ პროდუქტებზე მოთხოვნილებას შორის, როგორიცაა რძე, ხორცი, ბოსტნეული და ხილი; ყურადღების ცენტრში იქონიოს დაბა კაზრეთისა და სოფ. ბალიშის კეთილმოწყობა.

6. ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომმა:

პრაქტიკული დახმარება გაუწიოს კაზრეთის სადაბო საბჭოს საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში;

განიხილოს საკითხი მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის დამხმარე მეურნეობაში მიწის სავარგულების რაციონალურად გამოყენების შესახებ და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

7. კაზრეთის სახალხო დეპუტატთა სადაბო საბჭომ მორიგ სესიაზე საქართველოს სსრ მშენებლობისა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრების მონაწილეობით განიხილოს დაბის სოციალურ-კულტურული მშენებლობის მიმდინარეობა; სესიის მოწვევის შესახებ დროულად აცნობოს მათ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

8. სახალხო დეპუტატთა ბოლნისის რაიონული და კაზრეთის სადაბო საბჭოების აღმასკომებმა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 15 მაისისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 10 ივნისი.
№ 1755—XI

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

147 პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო კლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა და განიხილა სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების ამხ. ვ. ოყრეშიძისა და ამხ. გ. ბეკიაშვილის მოხსენებები, აღნიშნავს, რომ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის ღირსეულად შესახვედრად მშრომელთა დარაზმვა, საბჭოთა მუშაობის სტილის ერთგვარად გაუმჯობესება ხელს უწყობს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ზეგავლენის გაძლიერებას რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელებასა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამასთან, სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების, მათი აღმასკომების მუშაობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს გარდაქმნის მოთხოვნებს. არ ტარდება ქმედითი ღონისძიებები რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად; სუსტად მიმდინარეობს მუშაობა შრომითს კოლექტივებში ახალი სამეურნეო მექანიზმის დასანერგვად. მაგალითად, ქ. ქუთაისის იმ საწარმოებს, რომლებიც მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობენ, არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვთ. 1987 წელს ქალაქის მრეწველობამ სახელმწიფოს დააკლო თითქმის 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლნ მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ტემპი დაგეგმილზე 2,3 პროცენტით ნაკლებია, ასევე ვერ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. უფრო მეტიც, ადრე მიღწეულ დონეს ჩამორჩა 13 საწარმო, უმაღლესი ხარისხის პროდუქციის ხვედრითი წილი 14 პროცენტით შემცირდა. შარშან მეურნეობრივობის ახალ პირობებში მომუშავე საწარმოების უმრავლესობამ სამეურნეო წელი ცუდი შედეგებით დაამთავრა, რაც ძნიშვნელოვანწილად განპირობა სრულ სამეურნეო ანგარიშზე მათმა ნაჩქარეულად გადაყვანამ. მიუხედავად იმისა, რომ სისტემატურად სრულდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმები, მისი ხარისხი არ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. სახალხო დეპუტატთა საბჭოების არასაკმარისი ორგანიზატორული მუშაობის შედეგად ნელა ვითარდება კოოპერატივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სუსტია მათი როლი ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების მოცულობის გაზრდაში.

არ ტარდება გეგმაზომიერი მუშაობა სასურსათო პროგრამის შესასრულებლად. თელავის რაიონის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალმა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 1987 წელს ვერ შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმები, რაც უმთავრესად განპირობა შრომის ორგანიზაციის დაბალმა დონემ. რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აწარმოეს გეგმურზე 14,2 მლნ მანეთით ნაკლები სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება.

არსებით ნაკლოვანებებია სამშენებლო კომპლექსშიც. ქ. ქუთაისში 1987 წელს 1985 წელთან შედარებით 46,3 პროცენტით შემცირდა კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანი მოცულობა; გეგმა მხოლოდ 96,1 პროცენტით შესრულდა. ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქის საცხოვრებელი მიკრორაიონების, აგრეთვე თელავის რაიონის სოფლების სოციალურ განვითარებას, განსაკუთრებით სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელის გაფართოებას.

არ სრულდება საქონლებრუნვისა და საკასო შემოსავლების გეგმები, ცუდად კმაყოფილდება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება სურსათსა და სახალხო მოხმარების საქონელზე. სერიოზული ნაკლოვანებებია მოქალაქეთა საბინაო-კომუნალურ მომსახურებაში. ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში დიდია კადრების დენადობა. სათანადოდ არ არის მოგვარებული მუშა-მოსამსახურეთა კვება. ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს მოსახლეობის სამედიცინო და სატრანსპორტო მომსახურება; სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს ქ. ქუთაისის და თელავის რაიონის ეკოლოგიური მდგომარეობა.

არასაკმარისია საბჭოების მიერ გაწეული მუშაობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების დასაძლევად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონის შესაბამისად თანამიმდევრულად არ მუშაობენ შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითი კოლექტივების, მათი საბჭოების როლის ასამაღლებლად. ნელა ვითარდება კოოპერატივების ქსელი, ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონულმა საბჭოებმა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში მოცემული დებულებების შესაბამისად სრულყოფ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარების უზრუნველსაყოფად.

2. ქ. ქუთაისის და თელავის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი კონსტიტუციური უფლებამოსილება საქვეყნიერო ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგზე გაგლენის გასაძლიერებლად, რისთვისაც:

გაზარდონ სესიების როლი, გაუთმჯობესონ მათი მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაცია. სესიებზე განიხილონ ადგილობრივი ცხოვრების საკვანძო საკითხები. შემმნან ყველა პირობა იძისათვის, რომ მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და შესრულებაში;

გააუმჯობესონ მუდმივი კომისიების ანალიზური და საკონტროლო მუშაობა, მიაღწიონ შემუშავებულ რეკომენდაციათა კონკრეტულობას;

გააქტიურონ დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის;

ყურადღების ცენტრში მუდმივად იქონიონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაცია და კონტროლი. უფრო სრულად გამოიყენონ დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენება. სისტემატური ხასიათი მისცენ შრომითი კოლექტივების და მოსახლეობის წინაშე საბჭოების აღმასკომების, მათი სამსახურების და დეპუტატების ანგარიშგების პრაქტიკას;

სრულყონ ორგანიზატორული მუშაობა ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციისათვის;

უფრო ღრმად შეისწავლონ და განაზოგადონ საზოგადოებრივი აზრი, საჯაროობის გასაფართოებლად აქტიურად გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებები, მოქალაქეთა კრებები და სოფლის ყრილობები;

მუშაობის სტილისა და მეთოდების გარდაქმნისას საქმიანობის ძირითად მიმართულებად მიიჩნიონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ბიუროკრატიზმის გამოვლინების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. დროული რეაგირება მოახდინონ სესიებზე, აღმასკომების, მუდმივი კომისიების სხდომებზე გამოთქმულ და პრესაში გამოქვეყნებულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააფართოონ კავშირურთიერთობა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, გაძლიერონ ხელმძღვანელობა სახალხო კონტროლის ორგანოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი;

საკორდინაციო და საკონტროლო ფუნქციების მაქსიმალურად გამოყენებით, რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების პროგრამის შესაბამისად უზრუნველყონ მარგის ახალ სისტემაზე გადასასვლელად საწარმოების, გაერთიანებების, მეურნეობების მომზადება; ხელი შეუწყონ შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების, სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსების, თვითმმართველობის ფართოდ დანერგვას; თანამიმდევრულად განახორციელონ კანონი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“;

უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა საბჭოების სწორი ურთიერთობა შრომითი კოლექტივების საბჭოებთან; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვით ხელი შეუწყონ საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებასა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებას;

მიაღწიონ აგრესამრეწველო კომპლექსის ყველა რგოლის შეთანხმებულ მუშაობას სასურსათო პროგრამის შესრულებაში. უზრუნველყონ სოფლის მეურნეობაში ინტენსიური ტექნოლოგიის, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვა. აამაღლონ პირადი დამხმარე მეურნეობებისა და მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობათა როლი მოსახლეობის კეციის პროდუქტებით მომარაგებაში;

მიაღწიონ კაპიტალური მშენებლობის გეგმების სტაბილურად შესრულებას. ამასთან ძირითადი ყურადღება დაუთმონ 2000 წლამდე საბინაო მშენებლობის პროგრამის შესაბამისად ცალკე ბინებით ან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით მოსახლეობის დაკმაყოფილებას. ბინების განაწილებისას მტკიცედ დაიცვან სოციალური სამართლიანობის პრინციპები;

გააქტიურონ ორგანიზატორული მუშაობა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

„სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონის შესაბამისად დაძლიონ კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები; გონივრულად გამოიყენონ შრომითი და მატერიალური რესურსები; იზრუნონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ფართოდ დანერგვისათვის;

მიაღწიონ მოსახლეობის მომსახურების მოცულობის ზრდასა და მისი ხარისხის მკვეთრ ამაღლებას; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების კოოპერირების საფუძველზე მის შემდგომ განვითარებას, იმ ობიექტების მუშაობას, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მოსახლეობის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღენიადაგ იზრუნონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის განსახორციელებლად, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფიზკულტურულ-სპორტული ობიექტების ქსელის გასაფართოებლად, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად; გაუმჯობესონ მოსახლეობაში პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, მისი სამართლებრივი მომზადება, საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ადამიანების აღზრდა;

აამაღლონ ეროვნებათშორის ურთიერთობის კულტურა;

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ეფექტიანი ფორმების ფართო გამოყენებით გაუმჯობესონ მშრომელთა წერილებზე მუშაობა, სრულყონ შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას გასვლითი მიღების, ღია წერილის დღის ჩატარების პრაქტიკა.

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონულმა, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებმა სრულად განახორციელონ თავიანთი უფლებამოსილებანი: საწარმოებსა და ორგანიზაციებთან, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, სამეფონო ანგარიშებრივი, სახელშეკრულებო და ურთიერთობის სხვა მეთოდების ფართო გამოყენებით აამაღლონ და ვაფართოონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დამოუკიდებლობა ტერიტორიის განვითარების საკითხების გადაწყვეტაში; დარაზმონ შრომითი კოლექტივები 1988 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა უცილობლივ შესასრულებლად.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გააძლიეროს სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, მუშაობაში დემოკრატიული პრინციპების გაღრმავებისა და საჯაროობის ყოველმხრივ განვითარებისათვის; მიაღწიოს, რომ თითოეულმა საბჭომ თავის უპირველეს მოგალეობად ჩათვალოს საქვეუწყებო ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფა, მშრომელთა კეთილდღეობის თანამიმდევრული ამაღლება; აღმოფხვრას ხელისუფლებისა და მართვის ზემდგომი ორგანოების ჩარევა ქვემდგომი ადგილობრივი საბჭოების კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტაში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი თვის ვადაში განიხილოს ამ სესიაზე სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების აღმასკომების მოხსენებებში დაყენებული საკითხები, აგრეთვე კამათის მონაწილეთა მიერ გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც ეხება რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიკალურ ეკონომიკურ რეფორმაზე გადასვლის პროცესებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და სიძნელეებს, და გაუწიოს დახმარება მათს გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 129—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

148 სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ

სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავება, ხალხის თვითმმართველობის განვითარება გულისხმობს საქართველოს სს რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისათვის რეალურ შესაძლებლობათა გაფართოებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, კანონების პროექტებისა და საერთო-საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი საწესდებო ამოცანების შესაბამისად მსჯელობისათვის გამოტანილი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში მონაწილეობის კონსტიტუციური უფლების განსახორციელებლად.

ამ კანონმა ხელი უნდა შეუწყოს ფართო საჯაროობის, მშრომელთა განსხვავებული მოსაზრებებისა და წინადადებების შეჯერება-გათვალისწინების საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებათა შემუშავებაში მოქალაქეთა მონაწილეობის განვითარებას.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვა

საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად კანონების პროექტები და რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

კანონების პროექტები და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები სახალხო განხილვისათვის გამოაქვს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვა

აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და აჭარის ასს რესპუბლიკაში კანონების პროექტები და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები შეიძლება გამოტანილ იქნეს სახალხო განხილვისათვის.

კანონების პროექტები და სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები სახალხო განხილვისათვის გამოაქვთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლეს საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

მუხლი 3. მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საყურადღებო საკითხების განხილვა

გადაწყვეტილებებს ადგილობრივი მნიშვნელობის საყურადღებო საკითხებზე, რომლებიც შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს ეხება, სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები მიიღებენ მოსახლეობის მიერ ამ საკითხების წინასწარი განხილვის შემდეგ.

ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები მოსახლეობის განსახილველად გამოაქვთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონულ, საქალაქო, ქალაქის რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს ან მათ აღმასრულებელ კომიტეტებს.

მუხლი 4. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობა სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შესახებ

საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვის, აგრეთვე მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საყურადღებო საკითხების განხილვის წესს განსაზღვრავს ეს კანონი და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონები „სახელმწიფოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის საფუძველზე.

მუხლი 5. საქართველოს სსრ მოქალაქეთა მონაწილეობა განხილვაში

საქართველოს სსრ მოქალაქეებს უზრუნველყოფილი აქვთ თავისუფალი მონაწილეობა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვაში საქართველოს სსრ მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელ ადგილს მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების, მიკრორაიონების საბჭოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

აკრძალულია განხილვაში საქართველოს სსრ მოქალაქეთა მონაწილეობის უფლების რაიმე პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვა წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, მოცემულ ადგილზე ცხოვრების დროის, საქმიანობის სახეობისა თუ ხასიათის გამო.

მუხლი 6. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მონაწილეობა განხილვის მომზადებასა და მოწყობაში

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მომზადებასა და მოწყობაში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის, კოოპერაციული, ქალთა, ომისა და შრომის ვეტერანთა ორგანიზაციები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები.

მუხლი 7. განხილვის მოწყობის უზრუნველყოფა

რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საყურადღებო საკითხების განხილვის მოწყობას უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

მუხლი 8. საჯაროობა განხილვის მოწყობის დროს

განხილვა ეწყობა ფართო საჯაროობის საფუძველზე. განსახილველად გამოტანილი კანონების პროექტები და რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები ქვეყნდება პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი, ეცნობება მოსახლეობას სხვა საშუალებით.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ყოველმხრივ აშუქებენ განხილვის მიმდინარეობას, აქვეყნებენ მოქალაქეების, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წინადადებებსა და შენიშვნებს, აგრეთვე შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების მიმოხილვას, აცნობებენ მოსახლეობას განხილვის შედეგებს.

მუხლი 9. განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები

კანონების პროექტებისა და რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვასთან, აგრეთვე მოსახლეობის მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა განხილვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირებს, რომლებიც დაარღვევენ ამ კანონს, აგრეთვე პირებს, რომლებიც ხელს შეუშლიან განხილვაში მოქალაქის მონაწილეობის უფლების თავისუფალ განხორციელებას, დაეკისრებათ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

II. სახალხო განხილვის წესი

მუხლი 11. სახალხო განხილვისათვის გამოსატანი საკითხები

სახალხო განხილვისათვის გამოაქვთ კანონთა და გადაწყვეტილებათა პროექტები, რომლებიც შეეხება რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებებს, დიდმასშტაბური სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერო-ტექნიკური, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო რესურსების გამოყენებას, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების განხორციელებას, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 12. სახალხო განხილვისათვის საკითხების გამოტანის წესი

კანონების პროექტები, სხვა საკითხები სახალხო განხილვისათვის გამოაქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია მათი ინიციატივით ან აფხაზეთის ასსრ, ანდა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების წინადადებით. რეკომენდაციები სახალხო განხილვისათვის კანონის პროექტისა თუ სხვა საკითხის გამოტანის მიზანშეწონილობის შესახებ შეიძლება გამოთქვან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოდმივმა კომისიებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რესპუბლიკურმა ორგანოებმა, სხვა ორგანებმა და პირებმა, რომლებსაც კანონის შესაბამისად კანონპროექტი თუ სხვა საკითხი შეაქვთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდუმში.

კანონების პროექტები და მასალები სხვა საკითხებზე ქვეყნდება გაზეთებში „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, „სოვეტაკან ვრასტანში“, „სოვეტ გურჯუსტანში“, სხვა რესპუბლიკურ გაზეთებში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ადგილობრივ პრესაში არა უგვიანეს 10 დღისა სახალხო განხილვისათვის მათი გამოტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. ისინი აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს სპეციალიზებულ პერიოდულ გამოცემებში ან სხვა საშუალებით.

სახალხო განხილვისათვის საკითხის გამოტანასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ან მისი პრეზიდიუმი ადგენს სახალხო მსჯელობისას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისათვის მუშაობის ვადასა და მისი ორგანიზაციის წესს, ამ მუშაობის ჩატარებას აფალებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს ან აღნიშნული მიზნით ქმნის სპეციალურ კომისიას.

მუხლი 13. კანონების პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვის ორგანიზაცია

რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოთა და სხვა სახელმწიფო ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფენ კანონების პროექტებს, სხვა საკითხების ფართო განხილვას, ქმნიან ამისათვის საჭირო პირობებს.

სახალხო განხილვისათვის გამოტანილი კანონების პროექტების, სხვა საკითხების შესახებ მოქალაქეებს შეუძლიათ წინადადებები და შენიშვნები

1920

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნონ უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ანდა აფხაზეთის ასსრ ან აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ან სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

სახალხო მსჯელობისათვის გამოტანილი კანონების პროექტები, სხვა საკითხები შეიძლება განხილულ იქნეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების სესიებზე, მათი ორგანოების, დეპუტატთა ჯგუფების სხდომებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების კრებებზე, საცხოვრებელ ადგილს მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე, მიკრორაიონთა საბჭოების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მიერ, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი.

მუხლი 14. წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადება

სახალხო განხილვის დროს შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს განზოგადებენ შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადებისათვის აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ შექმნან კომისიები და სამუშაო ჯგუფები. განზოგადებული წინადადებები და შენიშვნები იგზავნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

მუხლი 15. სახალხო განხილვის შედეგების შეჯამება

კანონის პროექტის ან სხვა საკითხის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსულ მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების წინადადებებსა და შენიშვნებს პროექტის დახვეწისას განიხილავენ და გაითვალისწინებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიები ან სპეციალური კომისია, ანდა ორგანო, რომელმაც საკითხი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში ან მის პრეზიდიუმში. წინადადებებისა და შენიშვნების წინასწარი განხილვისათვის მათ შეიძლება შექმნან მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შედიან სახალხო დეპუტატები, შესაბამისი სპეციალისტები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი რეგულარულად ატყობინებენ მოსახლეობას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების და მათი განხილვის მიმდინარეობის თაობაზე, აწყობენ განსახილველად გამოტანილი კანონის პროექტის დებულებებისა თუ სხვა საკითხების ახსნა-განმარტებას.

კანონის პროექტისა თუ სხვა საკითხის სახალხო განხილვის შედეგებზე იმსჯელებს შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რის შესახებაც შეატყობინებენ მოსახლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც არ ეხება განსახილველი კანონის პროექტისა თუ სხვა საკითხის არსს, კუთვნილებისამებრ გადაეგზავნებათ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, რომლებიც მათ დადგენილი წესით განიხილავენ.

III. მოსახლეობის მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის საყურადღებო საკითხების განხილვა

მუხლი 16. მოსახლეობის განსახილველად გამოსატანი საკითხები

მოსახლეობის განსახილველად გამოაქვთ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტები კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებისა და ბიუჯეტის შესახებ, სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის, მართლწესრიგისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის, მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაობის შესახებ და ადგილებზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული შენებლობის სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

მუხლი 17. მოსახლეობის განსახილველად საკითხების გამოტანის წესი

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტების, სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხების გამოტანა მოსახლეობის განსახილველად ხდება ადგილობრივი საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მათი ინიციატივით, აგრეთვე საბჭოს მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოების, შრომითი კოლექტივების, მიკრორაიონთა საბჭოების, დაბის, სოფლის, ქუჩის, უბნისა და სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების; საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანოებისა და ორგანიზაციების წინადადებებით.

ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტები, აგრეთვე მასალები განსახილველად გამოტანილი სხვა საკითხების თაობაზე ქვეყნდება ადგილობრივ პრესაში ან ეცნობება მოსახლეობას ადგილობრივი რადიოთი თუ სხვა საშუალებით არა უგვიანეს 10 დღისა მოსახლეობის განსახილველად მათი გამოტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

მოსახლეობის განსახილველად საკითხის გამოტანასთან ერთად ადგილობრივი საბჭო ან მისი აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს მსჯელობისას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვისათვის მუშაობის ვადასა და მისი ორგანიზაციის წესს, წინადადებას აძლევს ადგილობრივი საბჭოს შესაბამის მუდმივ კომისიებს ჩაატარონ ეს მუშაობა ან აღნიშნული მიზნით ქმნის სპეციალურ კომისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 18. გადაწყვეტილებათა პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვის ორგანიზაცია

ადგილობრივი საბჭოთა და სახელმწიფო ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა პროექტების, მოსახლეობის განსახილველად გამოტანილი სხვა საკითხების ფართო განხილვას, ქმნიან ამისათვის საჭირო პირობებს.

მოქალაქეებს შეუძლიათ წინადადებები და შენიშვნები გადაწყვეტილებათა პროექტებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა საკითხების თაობაზე გაგზავნონ შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოში, მის აღმასრულებელ კომიტეტში, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში.

მოსახლეობის განსახილველად გამოტანილი გადაწყვეტილებების პროექტები და სხვა საკითხები შეიძლება წინასწარ განხილულ იქნეს ქვემდგომი საბჭოების სესიებზე, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, მიკრორაიონთა საბჭოების სხდომებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების კრებებზე, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მიერ, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე, ადგილობრივ პრესაში და რადიოთი.

მუხლი 19. წინადადებებისა და შენიშვნების განზოგადება

განხილვის დროს შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს განაზოგადებენ შესაბამისად ქვემდგომი სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი. შემოსულ წინადადებათა და შენიშვნათა განზოგადებისათვის აღნიშნულ ორგანოებს შეუძლიათ შექმნან კომისიები და სამუშაო ჯგუფები. განზოგადებული წინადადებები და შენიშვნები გაიგზავნება შესაბამის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს პროექტის დახვეწისას განიხილავენ და გაითვალისწინებენ საბჭოს მუდმივი კომისიები ან ამ მიზნით შექმნილი სპეციალური კომისია, აგრეთვე გათვალისწინებენ მათ პროექტიკულ საქმიანობაში.

ადგილობრივი პრესა და რადიო რეგულარულად ატყობინებენ მოსახლეობას შემოსული წინადადებების, შენიშვნების და მათი განხილვის მიმდინარეობის თაობაზე, აწყობენ გადაწყვეტილების პროექტის დებულებებისა და განსახილველად გამოტანილი სხვა საკითხების ახსნა-განმარტებას.

წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც თავიანთი შინაარსით განეკუთვნებიან ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გამგებლობას, გადაეგზავნებათ მათ განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც არ ეხება განსახილველი გადაწყვეტილების პროექტისა თუ სხვა საკითხის არსს, კუთვნილებისამებრ გადაეგზავნებათ შესაბამის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, რომლებმაც მიიღეს ასეთი წინადადებები და შენიშვნები, განხილავენ მათ დადგენილი წესით და შედეგების შესახებ აცნობებენ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

მუხლი 20. მოსახლეობის ინფორმირება გადაწყვეტილებათა პროექტებისა და სხვა საკითხების განხილვის შედეგების შესახებ

სახალხო დეპუტატთა საბჭოს განსახილველ გადაწყვეტილებათა პროექტებსა და სხვა საკითხებზე მსჯელობის შედეგებს საბჭოს სესიას მოახსენებს აღმასრულებელი კომიტეტი ან შესაბამისი მუდმივი თუ სხვა კომისია და მათ შესახებ ეცნობება მოსახლეობას.

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველ გადაწყვეტილებათა პროექტებსა და სხვა საკითხებზე მსჯელობის შედეგები მოხსენდება აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას და მათ შესახებ ეცნობება მოსახლეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 130—XI L.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

149 საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სხბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1988 წლის 5 აპრილისა — „ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“;

1988 წლის 5 აპრილისა — „საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

1988 წლის 5 აპრილისა — „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1988 წლის 18 მაისისა — „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 117-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 131—XI ს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

150 საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შექმნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცებისა და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 27 მაისის გრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს შექმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, მუხ. 253) შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. 25-ე მუხლს სიტყვების „საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო“ და ამ მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო“ და „საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო“.

2. 27-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 132—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

151 ამხ. გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 27 მაისის გრძანებულება ამხ. გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძის** საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 133—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

152 საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის ინფორმაციის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის ინფორმაცია „პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის ინვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე საბინაო მშენებლობის დარგში.

2. საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა მიიღონ დამატებითი ზომები მშენებლობაში სრული სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის დასაჩქარებლად, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დღენიადაგ იზრუნონ ქალაქისა და სოფლის განაშენიანების არქიტექტურულ-მხატვრული დონის ამაღლებისათვის, ამასთან გათვალისწინონ ეროვნული ტრადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცები, სახლებისა და ბინების დაგეგმარების გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართოდ გამოყენება და დანერგვა.

3. დაეკალოთ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამის შესრულების უზრუნველყოფისათვის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესაბამისად უფრო სრულად და თანამიმდევრულად განახორციელონ კონტროლი საბინაო მშენებლობის გეგმების უცილობლივ შესრულებისადმი; მიიღონ სათანადო ზომები კოოპერაციული და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის შემდგომ განსავითარებლად, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი სამშენებლო კოოპერატივებს მუშაობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვაში.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივმა კომისიამ პერიოდულად შეამოწმოს რეგიონებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმების შესრულების, ხარისხის გაუმჯობესებისათვის სამშენებლო ორგანიზაციების, სასალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მიერ გაწეული მუშაობა, გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად შეინუშაოს საჭირო რეკომენდაციები, ამასთან მუდმივი ყურადღება დაუთმოს მათი განხორციელებისადმი სისტემატურ კონტროლს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 134—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

153 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ლ. გ. ნიჟარაძის, ა. ი. ინასარიძისა და ნ. მ. მგალობლიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დეპუტატ ზ. ა. ჩხეიძის ინფორმაცია 1987 წელს სტიქიით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის, დაზარალებულთათვის ბინების მშენებლობისა და ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების მიმდინარეობის შესახებ დეპუტატების ლ. გ. ნიჟარაძის, ა. ი. ინასარიძის, ნ. მ. მგალობლიშვილის მიერ შეკითხვის წესით დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით.

2. აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები ძირითადად ხორციელდება დამაკმაყოფილებლად, ხოლო ამ მიზნით გამოყოფილი, აგრეთვე სახელმწიფო ბანკის მე-700 ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების ხარჯვა მიმდინარეობს დანიშნულებისამებრ.

3. რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქაგრომშენმა“, როგორც გენერალურმა მოიჯარემ, დღენიადაგ იზრუნოს სტიქიური უბედურების გამო უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეებისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისა და, რაც მთავარია, მშენებლობის ტემპის დაჩქარებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კვლავაც მუდმივი კონტროლი გაუწიოს სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების მიმდინარეობას, კვარტალში ერთხელ განიხილოს აღნიშნული საკითხი პრეზიდიუმის სხდომაზე.

5. ლენტეხის, მესტიის, ხობის, ცაგერის, დმანისის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის, კასპის, ცხინვალის, ლენინგორის, წულუკიძის, ქარელის და საჩხერის რაიონების, წყალტუბოსა და ჭიათურის ზონების საჭალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა თავიანთ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის მატერიალური დახმარებისა და მორალური მხარდაჭერის საკითხებს, განახორციელონ ქმედითი ზომები მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობების უზრუნველსაყოფად. გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ კვარტალში ერთხელ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

6. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებმა „კომუნისტმა“, „ზარია ვოსტოკამ“, „სოვეტაკან ვრასტანმა“ და „სოვეტ გურჯუსტანმა“ სისტემატურად გააშუქონ რესპუბლიკაში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოების მიმდინარეობა, საჯაროობის დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყონ მათი კრიტიკული შეფასება და შედეგები გაიცნონ ფართო საზოგადოებრიობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 135—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

154 დეპუტატ გ. ნ. ენუქიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს დეპუტატი გურამ ნიკოლოზის ძე **ენუქიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრად დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 136—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

155 დეპუტატ რ. ა. გოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს დეპუტატი რამაზ ანატოლის ძე **გოგლიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 11 ივნისი.
№ 137—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

156 **ტომსკის ოლქის შემოქმედებითი კოლექტივების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს სს რესპუბლიკაში ტომსკის ოლქის კულტურის დღეების ფარგლებში წარმატებული გასტროლებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ტომსკის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი.

ტომსკის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგუნდო კაპელა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 2 ივნისი.
№ 1749—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

157 **სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

საბრძოლო და პოლიტიკური მომზადებაში წარმატებებისა და საჰაერო დაცვის ორგანიზაციაში წვლილისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

იური სიმონის ძე **ივაშკო;**
თამაზ ალექსანდრეს ძე **მესაბლიშვილი;**
ვალერი პეტრეს ძე **ონიკიენკო.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კპარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 8 ივნისი.
№ 1751—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

158 ამხ. დ. ვ. დგებუაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო ტრესტის მმართველი ამხ. დავით ვლადიმერის ძე **დგებუაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 ივნისი.
№ 1765—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

159 ამხ. კ. ნ. დუმავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ აპარატში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. კონსტანტინე ნესტორის ძე **დუმავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 ივნისი.
№ 1764—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

160 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის და სამხედრო კომისარიატების შექმნის 70 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ოთარ ამბროსის ძე **თავბერიძე** — ქ. თბილისის ლენინის რაიონის სამხედრო კომისარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ანდრიას ძე **ნაიანოვი** — საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის თანამშრომელი.

თორნიკე მიხეილის ძე **პაპავა** — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხედრო კომისარი.

რაულ გრიგოლის ძე **ფანცულაია** — სოხუმის გაერთიანებული საქალაქო სამხედრო კომისარიატის სამხედრო კომისარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 29 ივნისი
№ 1775—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

161 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ლენინის იდეების პროპაგანდისათვის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და 50 წლისთავთან დაკავშირებით **ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ივნისი.
№ 1778—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

162 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ლენინის იდეების პროპაგანდისათვის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომითს ტრადიციებზე მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის 50 წლისთავთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

გიორგი ირაკლის ძე **ებრალიძე** — უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.
არტემ სურენის ძე **ზახარიანი** — მხატვარი-გამფორმებელი.
ლეილა დიმიტრის ასული **ლომთაძე** — ლექტორი-ექსკურსიის მძღოლი.
გელა არჩილის ძე **მილაძე** — სამეურნეო ნაწილის გამგე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ივნისი.
№ 1780—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

163 ამხ. ჯ. ლ. გაჩეჩილაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ავტომატიზებული სისტემებისა და გამოთვლითი ტექნიკის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ამხ. ჯონდო ლევანის ძე **გაჩეჩილაძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 ივნისი.
№ 1767—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

164 ამხ. კ. კ. ლოლუასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მეტალურგიის, ქიმიისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამთო საქმის განყოფილების უფროსს ამხ. კამილ კაპიტონის ძე **ლოლუას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 14 ივნისი.
№ 1766—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

165 ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ლენინის იდეების პროპაგანდისათვის, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე, პარტიისა და ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

ნინო ბუხუტის ასულ **ავალიანს** — მუზეუმის სალექციო ბიუროს გამგეს.
სვეტლანა გიორგის ასულ **ნადირაძეს** — ლექტორ-ექსკურსიის მძღოლს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“

მარეხ მიხეილის ასულ **სოხაძეს** — ბიბლიოთეკის გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ივნისი.
№ 1779—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

166 ამხ. ჯ. ი. ჭაჭანიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის საქართველოს საამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილეს ამხ. პალადი ივანეს ძე ჭაჭანიას მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჯ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ავარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 ივნისი.
№ 1781—XI

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

10 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა. განხილულ იქნა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი, საკითხები — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ, „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის პროექტის თაობაზე.

*

* *

სხდომაზე „ყარაგანდის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებში მოქალაქეთა მიღების, მათ მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 29 ოქტომბრის დადგენილების შესასრულებლად თბილისს ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე მოსმენილ იქნა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. დ. ზუბიტაშვილის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების ინფორმაციები.

ითქვა, რომ მოსახლეობის აზრის, მისი წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებამ საბჭოს აღმასკომში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოქალაქეთა მიმართვებში დაყენებული საკითხების დროულად და სწორად გადაწყვეტას.

ამასთან აღინიშნა, რომ აღმასკომი ყოველთვის არ ახორციელებს საჭირო კონტროლს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობის მიერ მოქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქეთა მიღების ორგანიზაციისა და მათ მიერ დაყენებული საკითხების განხილვის მდგომარეობისადმი, შესაბამის ორგანიზაციებში გადაგზავნილ მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებში აღძრული საკითხების დროულად და ხარისხიანად გადაწყვეტისადმი.

აღმასკომის ზოგიერთ განყოფილებაში, რიგ წარმოება-დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობა სრულად ვერ უპასუხებს სადღეისო მოთხოვნებს. არც თუ იშვიათად ორგანიზაციების ხელმძღვანელები არღვევენ მოქალაქეთა მიღების კანონით დადგენილ წესს, მიმართვების განხილვისადმი იჩენენ ფორმალურ, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, არ ღებულობენ საჭირო ზომებს მათში დაყენებული საკითხების ადგილებზე დროული მოგვარებისათვის, სამართლიანი საჩივრების გამომწვევი მიზეზების აღსაკვეთად. არ არის დაცული მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისა და მათ გამო მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვისა და საქმისწარმოების ერთიანი წესი, არ ხორციელდება სათანადო კონტროლი მათს შესწავლა-გადაწყვეტაზე, პრაქტიკაში არ არის შემოღებული წინადადებების, ზეპირი და წერილობითი მიმართვების განზოგადება და ანალიზი, არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციების მოსმენა თათბირებზე.

საჯაროობა ჯერ კიდევ არ გამხდარა მშრომელთა ინტერესებთან დაკავშირებული საჭიბრორეტო პრობლემების გადაჭრის პროცესში ადამიანის ფაქტორის გააქტიურების ძირითადი საშუალება, მოქალაქეთა მიღება კი — ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წყაროა.

რაიონში კვლავ მწვავედ დგას საბინაო პრობლემა. მოქალაქეთა მიმართვების 53,7 პროცენტი შეეხება საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ამ საკითხზე მიმართვების ზრდას სხვა მიზეზებთან ერთად ხელს უწყობს ისიც, რომ რაიონის უმეტესი საწარმოები და ორგანიზაციები წლების განმავლობაში ვერ ღებულობენ საბინაო მშენებლობაში წილობრივი წესით შეტანილი თანხის ანგარიშში კუთვნილ საცხოვრებელ ფართს. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1988 წლის პირველი იანვრისათვის ჰქონდა რაიონის 19 ორგანიზაციის დავალიანება, რომელთაც ჩარიცხული 38.461,5 ათასი მანეთის ანგარიშში არ გამოეყოთ კუთვნილი 33.133 კვ. მ საცხოვრებელი ფართი. ამასთან ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელი ჯეროვან შეფასებას არ აძლევს კოოპერატიულ ბინათმშენებლობას და არ იჩენს ინიციატივას ამ მნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალებანი მისცა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

*

* *

სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის ამხ. ა. კაკაბაძის ანგარიში 1987 წელსა და 1988 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითქვა, რომ მიღებული ზომების მიუხედავად სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინის მდგომარეობა ვერ უპასუხებს დღევანდელობის მოთხოვნებს: 1987 წლის შედეგებით რესპუბლიკის ყოველ მეხუთე სამრეწველო საწარმოს ან გაერთიანებას არ შეუსრულებია სახელშეკრულებო ვალდებულებანი, რის შედეგად მომხმარებლებს დააკლდათ 179 მილიონი მანეთის პროდუქცია. 1988 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებთა დადება არათუ 1987 წლის 1 ოქტომბერს, არამედ წლის ბოლოსაც კი არ დამთავრებულა, ხოლო ზოგიერთ საწარმოში დღესაც გრძელდება.

სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გაწეული მუშაობა კვლავ ხასიათდება მთელი რიგი ნაკლოვანებებით, კერძოდ, ამ ორგანოს მუშაკები ყოველთვის მრავალმხრივ და ღრმად არ აანალიზებენ საგეგმო დისციპლინის დარღვევის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა ჩაშლის ხელშემწყობ მიზეზებსა და პირობებს, კვლავ არასაკმარისი პრინციპულობით აყენებენ საკითხს ბრალეულთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ; კოლეგიის სხდომებზე იშვიათად ისმენენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს ხელშეკრულებათა დადებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 1987 წელსა და 1988 წლის პირველ კვარტალში ამგვარი წესით განხილულ იქნა 2 ათასი საქმე, შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს საარბიტრაჟო საქმეთა უშუალოდ საწარმოებსა და შრომითს კოლექტივებში განხილვის პრაქტიკა.

სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხისა და სტაბილურობის გაზრდის პრობლემა; საკმარისია აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ სახელმწფო არბიტრაჟმა გააუქმა ავტონომიურ ფორმირებათა სახელმწიფო არბიტრების ზედამხედველობის წესით გასაჩივრებული ყოველი მესამე გადაწყვეტილება, ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა — რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟის არბიტრთა გასაჩივრებული ყოველი მეორე გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ცნობად საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის ამხ. ა. კავსაძის ანგარიში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს დაევალა მიიღოს გადამჭრელი ზომები ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის № 190 და რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების 1987 წლის 12 დეკემბრის დადგენილებათა მოთხოვნების შესაბამისად შეიმუშაოს და განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი, რომლებიც გამიზნული იქნება სახალხო მეურნეობაში სახელშეკრულებო დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცებისათვის, უყაირათობასთან, მფლანგველობასა და სხვა ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად და ამ საქმეში მისი როლის ასამაღლებლად; გაზრდოს სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთიანებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სახალხო მეურნეობაში ხელშეკრულებო დისციპლინისა და კანონიერების განმტკიცების მდგომარეობისათვის, უფრო გაბედულად და პრინციპულად დაიყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს დაევალათ გაძლიერონ კონტროლი საქვეუწყების ტერიტორიაზე განლაგებული სამრეწველო საწარმოების საქმიანობისადმი; სერიოზული ყურადღება დაუთმონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების, გამოსაშვები პროდუქციისა და საქონლის ხარისხის გაუმჯობესების და ასორტიმენტის გაფართოების საკითხებს; ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მათ საეთნერეო საქმიანობაში, სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაში; პერიოდულად მოისმინონ საწარმოთა და გაერთიანებათა ხელმძღვანელების ანგარიში მათ მიერ ხელშეკრულებების დროულად დადებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ; ამ საქმეში უფრო ფართოდ გამოიყენონ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟში არსებული მასალები.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს დაევალათ სამეურნეო ხელშეკრულებების დადების და მათი ვადის გაგრძელების მიზნით გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1968 წლის 1 ოქტომბრამდე.

* *
*

მოისმინა რა გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში შრომითი კოლექტივების და მოსახლეობის წინაშე ჩოხატაურის რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, მათი სამსახურების, დეპუტატების ანგარიშგების პრაქტიკისა და მისი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ს. ციხაძის ინფორმაცია, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, მათი სამსახურების და დეპუტატების მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გარდაქმნის მოთხოვნებს.

ჩოხატაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს დაევალა:

ყოველმხრივ სრულყოს ადგილობრივი საბჭოების სესიებზე აღმასკომების, მათი ორგანოების, დეპუტატების ანგარიშგების პრაქტიკა, განახორციელოს ღონისძიებები აღმასკომებისა და დეპუტატთა ანგარიშგების ქმედითობის ამაღლებისათვის; ოპერატიულად გადაწყვეტოს შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის მიერ დასმული საჭირბოროტო საკითხები; სისტემატურად განიხილოს სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე საანგარიშო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, გაითვალისწინოს ისინი როგორც სამუშაო

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გეგმაში, ისე რაინონსა და მისი ცალკეული დასახლებული პუნქტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიულ პროგრამაში.

რეპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილმბრივ საბჭოებს, მათს აღმასრულებელ კომიტეტებს დაეგალათ განიხილონ საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე შრომითი კოლექტივების და მოსახლეობის წინაშე საბჭოების, მათი აღმასკომების, დეპუტატთა ანგარიშგების პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის საკითხები და მიიღონ კონკრეტული ზომები ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; ამასთან ძირეულად გარდაქმნან საბჭოების სამანდატო კომისიების მუშაობა, უზრუნველყონ მათი ფართო ჩაბმა დეპუტატთა ანგარიშგების სრულყოფისათვის მუშაობაში.

* *
*

დიდი სამამულო ომის ინვალიდის მოქ. გ. ჯორჯიკიას განცხადებაში დაყენებული საკითხის გადაწყვეტის გაუმართლებლად გაჭიანურებისა და საწარმოო გაერთიანება „თბილქალამშენში“ მოქალაქეთა მიმართვების განხილვაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ საკითხის განხილვისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლოდ მოეკიდა მოქ. გ. ჯორჯიკიას განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა ახლად მიღებულ ბინაში მშენებლების მიერ დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულებას.

აღნიშნულ საკითხზე მოქ. გ. ჯორჯიკიამ ჯერ კიდევ 1987 წლის სექტემბერში მიმართა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც ამ ხნის განმავლობაში ორჯერ დაავალა გაერთიანების ხელმძღვანელობას პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება. ბინის შეკეთების სამუშაოების გაჭიანურების გამო მოქ. გ. ჯორჯიკიამ მიმართა რესპუბლიკის ზემდგომ ორგანოს, მათ შორის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობა (უფროსი ამხ. ი. ქევზიშვილი), საქალაქო საბჭოს აღმასკომის არაერთი წერილობითი და სიტყვიერი შეხსენების მიუხედავად, დაკმაყოფილდა № 4 სახლოსაშენებელი კომბინატის უფროსისათვის მხოლოდ დავალების მიცემით და არ შეუმოწმებია შესრულების მდგომარეობა. საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულების გამო მოქ. გ. ჯორჯიკია თითქმის ორი წელია ვერ შესახლდა ბინაში.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობა საერთოდ უყურადღებოდ ეკიდება მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობას, სათანადო კონტროლს არ ახორციელებს აპარატში შესული და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გადაგზავნილი მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების კანონით დადგენილ ვადებში განხილვისა და მათში დაყენებული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტისადმი.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო ყოველთვის არ ღებულობენ საჭირო ზომებს მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორანიზაციებში ზემდგომი ორგა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოგიდან მიღებული მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების გამომწვევი მიზეზების გამოვლენა-აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს — მეტი ყურადღება დაუთმონ ანგარიშვალდებულ ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, მომთხოვნელობისა და კონტროლის გაძლიერებით აღმოფხვრან მათში დაყენებული საკითხების გაუმართლებლად გაჭიანურებისა და ადამიანთა საჭიროებებისადმი გულგრილი, ფორმალური დამოკიდებულების ფაქტები; უზრუნველყონ ზემდგომი ორგანოებიდან მიღებული განცხადება-საჩივრების ოპერატიულად შესწავლა-გადაწყვეტა; ქმედითი ღონისძიებანი განაზორციელონ ქალაქში ბინათმშენებლობის ხარისხის ასამაღლებლად: არ დაუშვან დაუმთავრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემა და მათში მოქალაქეთა შესახლება.

საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. დ. მანჯგალაძეს დაევალა მკაცრად მოსთხოვოს პასუხი საწარმოო გაერთიანება „თბილქალაქმშენის“ უფროსს ამხ. ი. ქეცხოვლის დიდი სამამულო ომის ინვალიდის მოქ. გ. ჯორჯიკიას განცხადებაში დაყენებული საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებისა და გაერთიანების აპარატსა და დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობაში ნაკლოვანებებისათვის.

აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა მოხსენდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგ სხდომას.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხი „პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მშრომელთა წერილებზე მუშაობაში საჯაროობის განვითარებისათვის მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის საქმიანობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 28 მაისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

მოსმენილ იქნა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

11 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესია.

სხდომა გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი. განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად რადიკალური ეკონომიკური რეფორმის განხორციელების, დემოკრატიზაციისა და საჯაროობის განვითარებისათვის სახალხო დეპუტატთა ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონული საბჭოების მუშაობა;

2. „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის პროექტი;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

მოხსენებები დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთეს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ვ. ა. ოყრუშიძემ და თელავის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. ბეციაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი, დეპუტატი ი. გ. ჯიქურაშვილი, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. ნ. მღებრიშვილი, ტყვარჩელის მაღაროთსამმართველოს ლაკობას სახელობის შახტის მუშა, დეპუტატი ე. ჩ. კვარჩია, ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. რ. ხ. დოლიძე, ახმეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ბრიგადირი, დეპუტატი ნ. ა. პეტრიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპუტატი ზ. ა. ლაბახუა, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ა. კაჩმაზოვი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი, დეპუტატი დ. ნ. დვალიშვილი, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. გ. კუხალეიშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, დეპუტატი ჯ. ი. გუგუჩია.

მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხზე გააკეთა დეპუტატმა ნ. ა. ფოფხაძემ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

ამ საკითხის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ვ. ა. შარაშენიძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, ა. ა. ოსიპოვი — საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი, ვ. ვ. კეშელავა ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი.

სესიაზე გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დეპუტატი პ. გ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა რ. ხ. კონცელიძემ გამოთქვა კრიტიკული შენიშვნა დღის წესრიგის პირველ საკითხზე დადგენილების პროექტთან დაკავშირებით. კენჭის ყრის შედეგად, გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით, სესიამ ხმების უმრავლესობით — წინააღმდეგი შვიდი, მიიღო მთლიანობაში დადგენილება აღნიშნულ საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სსრ კანონი „სახელმწიფო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვის შესახებ“.

დეპუტატებმა მოისმინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის, დეპუტატ ვ. ა. კვარაცხელიას მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ და მიიღეს შესაბამისი კანონები და დადგენილება.

ორი დღის წინათ პიროსიმის საქალაქო პარკში იაპონიის მშვიდობის მომხრეებმა გამართეს მეორე მსოფლიო „მშვიდობის ტალღისადმი“ მიძღვნილი მიტინგი, რომელზეც ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულების დადებას, როგორც ბირთვული განიარაღების დასაწყისს.

სესიის მუშაობის დღეს „მშვიდობის ტალღამ“ ჩვენს რესპუბლიკამდე მოაღწია.

ინფორმაცია ამ აქციის შესახებ სესიაზე გააკეთა საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. დ. ალექსიძემ.

დეპუტატებმა მიიღეს შესაბამისი რეზოლუცია.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ნიადაგ აკონტროლებს თავისი იმ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელიც მეექვსე სესიამ მიიღო პარტიის XXVII ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარებისათვის, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების საკითხზე. მაშინვე გადაწყდა უმაღლესი საბჭოს ყოველ სესიაზე მოისმინონ ინფორმაცია ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამჯერად სესიაზე მოისმინეს საქართველოს სსრ სახმშრნის თავმჯდომარის, დეპუტატ გ. ზ. მირიანაშვილის ინფორმაცია საბინაო მშენებლობის დარგში მეექვსე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დეპუტატთა ჯგუფმა — მესტიის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილემ ლ. გ. ნიკურაძემ, ქალაქ თბილისის „მაღლივმშენის“ № 10 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ა. ი. ინასარიძემ და საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. მ. მგალობლიშვილმა — სესიას შეკითხვის წესით დაუყენა საკითხი, თუ როგორ მიმდინარეობს 1987 წელს რესპუბლიკაზე თავსდატეხილ სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაცია და როგორ შენდება ბინები დაზარალებულთათვის, როგორ ხდება ამ მიზნებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება.

ამ შეკითხვას უპასუხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა ზ. ა. ჩხეიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესიაზე გამოსულმა საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა, დეპუტატმა ნ. ა. ოდიშვილმა აღძრა საკითხი, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა ნიადაგის ეროზიის, ზვავებისა და მეწყრების წინააღმდეგ, გაუმჯობესდეს მთლიანად ბუნების დაცვის საქმე.

დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით დაყენებული საკითხის გამო მიღებულია დადგენილება.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი გ. ნ. ენუქიძე საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრად დაინიშნა, სესიამ იგი გაანთავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს ამ კომისიის წევრი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე, დეპუტატი რ. ა. გოგლიძე.

ტრადიციისამებრ, სესიაზე გამოაცხადეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი, მეათე სესიის დღის წესრიგი. ნავარაუდევია ამ სესიაზე განხილონ შემდეგი ძირითადი საკითხები: რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალისტური დემოკრატიისა და თვითმმართველობის შემდგომი განვითარებისათვის; საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1989 წლის სახელმწიფო გეგმა და 1988 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობა; საქართველოს სსრ 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1987 წლის ბიუჯეტის შესრულება.

მიზანშეწონილად ცნეს მოისმინონ მომავალ სესიაზე საქართველოს სსრ სახარბიტრაჟის ინფორმაცია 1989 წლისათვის სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების მდგომარეობის შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის დადგენილების შესაბამისად მოისმენენ აგრეთვე თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინფორმაციას რესპუბლიკის დედაქალაქში საპასპორტო რეჟიმის დაცვისა და მოსახლეობის მექანიკური ზრდის შეკავების მდგომარეობის შესახებ.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

სესიას ესწრებოდნენ განსახილველი საკითხებით დაინტერესებული მოქალაქენი, რომლებიც გამოეხმაურნენ პრესაში გამოქვეყნებულ მოწვევას — დასწრებოდნენ სხდომას.

საქართველოს ტელევიზიით მოეწყო სესიის მთელი მუშაობის პირდაპირი ტრანსლაცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა საკითხი „სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს „შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ვაჟრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

კომისიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საბჭოს საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს გარდაქმნის მოთხოვნებს, სრულად არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ სათანადო გადაწყვეტილებებს.

სერიოზული ხარვეზებია მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებაში. სამრეწველო საწარმოების მიერ დაბალი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისა და ადგილებზე სუსტი კომერციული მუშაობის გამო სავაჭრო ორგანიზაციებში დიდია საქონლის ზენორმატიული ნაშთები. არ ხდება სასაქონლო პროდუქციის სწორი მანეკრირება. ხშირად ირღვევა სავაჭრო ორგანიზაციების სამუშაო რეჟიმი, სათანადო ღონისძიებები არ ტარდება რეკლამის გაგუმჯობესების, ვიტრინების გაფორმებისა და სანიტარიული წესრიგის დამყარებისათვის. შეინიშნება ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.

არ სრულდება მიმდინარე ხუთწლედის საქონელბრუნვის გეგმები. 1986-87 წლებში გარდვევამ 7,3 მილიონ მანეთს მიაღწია, მიმდინარე წლის 4 თვეში — 656 ათას მანეთს.

მოუგვარებელია სამამულო ომის ინვალიდთა, მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა სავაჭრო მომსახურების საკითხი, რაც გამოწვეულია შესაბამისი საქონლისა და პროდუქტების ფონდების უკმარისობით.

სრულად ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება საწვავ-სათბობსა და სამშენებლო მასალებზე; გეგმით გათვალისწინებული ორი სამშენებლო მასალებით მოვაჭრე მაღაზიის ნაცვლად ერთია გახსნილი.

სერიოზული ნაკლოვანებებია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. კომპლექსურ მიმღებ პუნქტებში დაკვეთები უხარისხოდ და გაჭიანურებით სრულდება. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ხშირად დაკეტილია, სერიოზული შეფერხებებია მომარაგებაში. დიდია უნაღდო ანგარიშსწორებით შესრულებულ სამუშაოთა ხვედრითი წილი. რაიონის 7 სოფელი საერთოდ მოკლებულია საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

შარშან მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმა 98 პროცენტით შესრულდა, მიმდინარე წლის 4 თვეში — 95,9 პროცენტით. ნელა იზრდება ფასიანი მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მათი მეტი წილი მოთავსებულია შეუფერებელ და ამორტიზებულ შენობებში. მაღაზიებს არ ყოფნით სასაწყობო მეურნეობა, ჭიანურდება სარემონტო სამუშაოები.

არასაკმარისია სავაჭრო ორგანიზაციების საუწყებო კონტროლის ბრძოლა სისტემაში სახელმწიფო ქონების დატაცების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო სრულყოფილად ვერ იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებებს ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარების თაობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო მოხმარების საქონლისა და მოსახლეობის მომსახურების კომისიამ საჭირო რჩევა მისცა ხელვაჩაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს, რაიკოოპერატივის გამგეობას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, ცეკავშირისა და აჭარაოოპკავშირის გამგეობებს, საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს.

*

* *

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის ცნობის შესახებ და მოიწონა მისი რეკომენდაციები ახალციხის რაიონში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა სოციალური უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარებისა და მათთვის კანონმდებლობით დადგენილი შედავათების განხორციელების შესახებ. აღნიშნული ცნობა სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ახალციხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს.